საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში
# 2020
## II კვარტალი



23.09.2020
www.geostat.ge

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

23.09.2020

# ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

2020 ᲬᲚᲘᲡ II ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ

მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა კვარტალთან შედარებით** 0.7 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო სამშენებლო მასალებზე ფასების 3.3 პროცენტიანი ზრდით, რამაც 1.91 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

**წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით** მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 2.1 პროცენტით. ინდექსის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო სამშენებლო მასალებზე ფასების 6.8 პროცენტიანი ზრდით, რაც 3.89 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე. გარდა ამისა, ამავე პერიოდში სამეწარმეო სფეროში მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შემცირდა 8.4 პროცენტით, რამაც -2.31 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის მეორე კვარტალში მშენებლობის ღირებულების ინდექსები წინა კვარტალთან და წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების შესაბამისი წვლილები:

| ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲔᲑᲘ | 2020 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲗᲐᲜ | ᲬᲕᲚᲘᲚᲘ* ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ | 2019 ᲬᲚᲘᲡ II ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲗᲐᲜ | ᲬᲕᲚᲘᲚᲘ* ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ |
|---|---|---|---|---|
| **სულ** | **100.7** | **0.71** | **102.1** | **2.12** |
| სამშენებლო მასალები | 103.3 | 1.91 | 106.8 | 3.89 |
| ხელფასები | 95.2 | -1.28 | 91.6 | -2.31 |
| მანქანა-დანადგარები | 100.0 | 0.00 | 100.0 | 0.00 |
| ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია | 99.1 | -0.01 | 100.2 | 0.00 |
| სხვა ხარჯი | 101.2 | 0.10 | 106.5 | 0.54 |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

**მშენებლობის ღირებულების ინდექსი**

(წინა წლის შესაბამისი კვარტალი = 100)




**საკონტაქტო პირი:**

გიორგი თეთრაული ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge